ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

სექტორის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ბიუჯეტი

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მოსმენებს გადის პარლამენტში და წლის ბოლომდე უნდა დამტკიცდეს. გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 13 მილიარდი ლარი იქნება. აქედან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროზე მოდის 332 მილიონი ლარი (მთელი ბიუჯეტის 2.4%), ხოლო უშუალოდ ***სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო დაახლოებით 285 მილიონ ლარს დახარჯავს,*** დანარჩენი 47 მილიონი გარემოს დაცვის მიმართულებას მოხმარდება.

2018 წელთან შედარებით, 2019 წელს სოფლის მეურნეობის მიმართულებით ბიუჯეტი მთლიანობაში 22%-ით იზრდება. რაც შეეხება მიმართულებებს, ზრდა ფიქსირდება ყველა მიმართულებით გარდა ***მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისა*** და ***სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა,*** რომელთა ბიუჯეტებიც წინა წელთან შედარებით მცირდება.

როგორც წინა წლებში, 2019 წელსაც უმსხვილესი მიმართულებებია ***ერთიანი აგროპროექტი*** და ***სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია***. აღსანიშნავია, რომ ერთიანი აგროპროექტი (APMA) მომავალ წელს 10 სხვადასხვა პროექტს განახორციელებს, რომელთაგან ოთხი ახალი პროექტია. ესენია: ***ფერმერთა/ფერმათა რეგისტრაცია, იმერეთის აგროზონა, აიღე მოსავალი და ტექნიკური დახმარებისა და მარკეტინგის პროექტი***. „იმერეთის აგროზონა“ გულისხმობს იმერეთში სასათბურე კლასტერის შექმნას, ხოლო „აიღე მოსავალი“ ფერმერებს მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენაში დაეხმარებას.

სოფლის მეურნეობაზე გასაწევი ხარჯები მთლიანად და მიმართულებების მიხედვით (მლნ. ლარი, 2018-2019 წწ.)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შენიშვნა: გადამუშავებული ბიუჯეტის მეორე ვარიანტი, რომელიც მოსმენაზე გაგზავნილია საქართველოს პარლამენტში. სოფლის მეურნეობის მიმართულებების წილი სამინისტროს მთლიანი ბიუჯეტიდან გამოყოფილია ავტორების მიერ.

ფასები

ადგილობრივი ფასები

წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ფასების დონე სტაბილურად შენარჩუნდა; 2018 წლის ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) უმნიშვნელოდ 0.3%-ით გაიზარდა 2018 წლის სექტემბერთან შედარებით. წინა თვესთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები არ შეცვლილა.

2018 წლის ოქტომბერში სფი 2.3%-ით გაიზარდა 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით. სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე კი ფასები ძალიან უმნიშვნელოდ, 0.2%-ით გაიზარდა წინა წლის ოქტომბერთან შედარებით.





2018 წლის ოქტომბერში ხილისა და ყურძნის კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა წინა წლის ოქტომბერთან შედარებით:

მანდარინი (-41%↙)

მსხალი (-25%↙)

ლიმონი (-33%↙)

ქლიავი (-24%↙)

ვაშლი (-28%↙)

ყურძენი (-15%↙)

წყარო: საქსტატი, 2018

უფრო ვრცლად ღვინის სექტორზე

2018 წლის ოქტომბერში ყურძნის ფასი 15%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, რაც კარგი მოსავლითაა განპირობებული. სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2018 წელს 230 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა, რაც 72%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (134 000 ტონა).

2018 წელი დამაიმედებლად გამოიყურება ღვინის სექტორისთვის. 2018 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან ექსპორტზე გავიდა 68.3 მილიონი ბოთლი (0.75 ლიტრი) ღვინო, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 12%-ით აღემატება. როგორც დიაგრამაზე ჩანს, წინა წელთან შედარებით ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულიდან ექსპორტი გაიზარდა რუსეთში (10%), უკრაინაში (34%), ყაზახეთსა (16%) და პოლონეთში (30%), ხოლო შემცირდა ჩინეთში (-11%).

მევენახეობისა და მეღვინეობის, როგორც ქვეყნის პრიორიტეტული დარგის განვითარებისა და საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის რეპუტაციის გაზრდის მიზნით, 2018 წლის 6 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო ტექნიკური რეგლამენტი ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ.

რეგლამენტი კრძალავს წყლის დამატებას ღვინოში და განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კომპანიების მიერ წარმოებული ღვინო ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების, შაქრიანობის, აქროლვადი მჟავიანობის, უშაქრო ექსტრაქტის მასური კონცენტრაციის კუთხით.



წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო, 2018

საერთაშორისო ფასები

2018 წლის ოქტომბერში სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით 7.4%-ით შემცირდა. ფასები შემცირდა სურსათის შემდეგი კატეგორიებისთვის: მცენარეული ზეთი(-21.8%), შაქარი(-13.8%), რძის პროდუქტები(-15.3%) და ხორცი(-6.6%).

აღსანიშნავია, რომ წლიდან-წლამდე ფასები გაიზარდა მხოლოდ მარცვლეულის კატეგორიისთვის. 2018 წლის ოქტომბერში, FAO-ს მარცვლეულის ფასების ინდექსი 8.9%-ით გაიზარდა 2017 წლის ოქტომბერთან შედარებით, რაც ძირითადად განპირობებულია ამერიკის შეერთებულ შტატებიდან სიმინდის საექსპორტო გაყიდვების ზრდით. ფასები გაიზარდა ხორბლისთვისაც, რაც ავსტრალიაში ხორბლის ცუდ მოსავალს უკავშირდება.



წყარო: FAO, 2018

ვაჭრობის სტატისტიკა

2018 წლის ოქტომბერში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა (მათ შორის საკვები პროდუქტები) 64 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს ექსპორტის მთლიანი ღირებულების დაახლოებით 30%-ს შეადგენს და 1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2017 წლის სექტემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. რაც შეეხება საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტს, მისმა ღირებულებამ 2018 წლის ოქტომბერში 103 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც ამავე თვეში საქართველოს მთლიანი იმპორტის 16%-ს შეადგენდა. გასული წლის სექტემბერთან შედარებით, მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი 1%-ით შემცირდა.





წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2018
შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი მოიცავს საკვები პროდუქტების ექსპორტსაც

პოლიტიკის მიმოხილვა

შიდა ქართლში ხილის გადამამუშავებელი ახალი საწარმო ამოქმედდა

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ საღოლაშენში ხილის გადამამუშავებელი ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო - შპს „ხილის ქაღალდის კომპანია“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. საწარმოში, ჯამურად, 1,013,000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 405,000 ლარი გრანტია, ხოლო 507,000 ლარი - შეღავათიანი აგროკრედიტი.

მეტი ინფორმაციისთვის: http://mepa.gov.ge/Ge/News/Details/3321

USAID-ის ახალი ხუთწლიანი პროგრამა სოფლის მეურნეობის სექტორში

USAID იწყებს ახალ პროგრამას აგრო ბიზნესების მხარდასაჭერად საქართველოს დასავლეთში, კერძოდ კი ქუთაისში. პროგრამა მიზნად ისახავს 3000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის განვითარების მეშვეობით.

მეტი ინფორმაციისთვის: http://agenda.ge/en/news/2018/2439

აისეტის კვლევითი ინტიტუტი (ISET Policy Institute)
აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრი (APRC)
http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc

ავტორები: სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
დავითი ჟორჟოლიანი d.zhorzholiani@iset.ge
სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge